*პროექტი*

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
# ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
# მიზნობრივი პროგრამა

2013 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) დასახელება

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

" 1 იანვარი " 2013 წ.
" 31 დეკემბერი " 2013 წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი

131,400 (ას ოცდათერთმეტი ათას ოთხასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

| | | |
|---|---|---|
| ა) ძირითადი _ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი | 131,400 | ლარი |
| ბ) დამატებითი | 0 | ლარი |

5. პროგრამის (ქვეპროგრამის ) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

## 6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ პირთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ მარტოხელა დედები და ორსული ქალები, რომელთა შვილები წარმოადგენენ მიტოვების რისკის ჯგუფს, ვინაიდან დედები, როგორც წესი, მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველ ფენას, არა აქვთ მუდმივი სამუშაო და ვერ უზრუნველყოფენ ბავშვის აღზრდისათვის ნორმალურ პირობებს. აღნიშნული პირების მატერიალური და მორალური მხარდაჭერის, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადოებაში ინტეგრაციის, ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების მიზნით კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია მიუსაფარი დედებისა და ბავშვების დროებითი 24-საათიანი თავშესაფრით და უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფა, ბენეფიციარების სადღეღამისო მომსახურება სამჯერადი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი, ბავშვის კვების პროდუქტებით მომარაგება, მათი უზრუნველყოფა ტანისამოსითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება. აღნიშნულ მომსახურებას მიიღებს 20 ბენეფიციარი, რისთვისაც გათვალისწინებულია დღეში 18 ლარი.
საკანონმდებლო ბაზა: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N503 დადგენილება "სოციალური რეაბილიტაციისა და ბვშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ".

## 7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

| № | პროგრამის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|---|
| 1 | მიუსაფარ დედათა და ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია | ბენეფიციართა სოციალური პირობების ნაწილობრივი გაუმჯობესება |
| | | ჩვილ ბავშვთა მიტოვების შემთხვევების შემცირება |

## 8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

| 2013 წელი | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბე | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | ბენეფიციართა სიების დაზუსტება | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | მომსახურების გაწევა | | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

## 9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

| № | წყაროს დასახელება | | 2013 წელი | 2014 წელი | 2015 წელი | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ძირითადი | **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი** | 131,400 | | | **131,400** |
| 2 | დამატებითი | | | | | **0** |
| | **სულ** | | **131,400** | | | **131,400** |

ბ) პროგრამის (ქვეპროგრამის) ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| № | პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული) | ბენეფიციართა რაოდენობა | ერთეულის ფასი | | სულ ღონისძიების ხარჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 2013 წელი | | | | | |
| I | საქონელი და მომსახურება | | | | |
| **სულ საქონელი და მომსახურება** | | | | | 0 |
| II | სოციალური უზრუნველყოფა | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება | 20 | 6570 | | **131,400** |
| **სულ სოციალური უზრუნველყოფა** | | | | | **131,400** |
| III | არაფინანსური აქტივები | | | | |
| **სულ ჯამი** | | | | | **131,400** |

## 10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა | შესყიდვის განხორციელების ვადები | შესყიდვის განხორციელების ფორმა | შესყიდვისათვის დაგეგმილი თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი | I კვარტალი | შესყიდვა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით | 131,400 | |

**დამატებითი ინფორმაცია**

ა) დამტკიცებული ხარჯების თვეების მიხედვით განაწილება

კომპონენტით გათვალისწინებული ხარჯების კვარტლებისა და თვეების მიხედვით განაწილება წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და

ეკონომიკის სამინისტროს კომპონენტის დამტკიცების შემდეგ. მომსახურების ღირებულება განისაზღვრა „სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფასის მიხედვით.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა;

მომსახურების მიღება განხორციელდება სოციალური ვაუჩერის მეშვეობით. ვაუჩერის ფორმას, გაცემისა და გამოყენების წესს, კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს განსაზღვრავს და ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ,,მიმწოდებელი" პროგრამას ახორციელებს ,,მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტის" ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის" შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. გადაწყვეტილებას მოქალაქის დაფინანსების შესახებ ღებულობს შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. დაფინანსების (ვაუჩერის გაცემის) საკითხი ყველა შემთხვევაში წყდება კომისიურად. ვაუჩერის მოქმედების ვადა განისაზღვრა არაუმეტეს 6 თვისა, ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მიღება შესაძლებელია არაუმეტეს 2-ჯერ წელიწადში. ბენეფიციარების კომპონენტში ჩართვა განხორციელდება "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის" რესურსის ამოწურვის შემდეგ.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი

კომპონენტის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

- კომპონენტის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):
1. მარტოხელა დედები, 10 წლამდე ასაკის ბავშვით ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა), რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა);
3. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 2 და მეტი 10 წლამდე ასაკის ბავშვი;
4. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ბავშვი;

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
-ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
-საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა.

•

კომპონენტის მოსარგებლედ განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და ვაუჩერის გაცემის მომენტში.

- კომპონენტის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):
1. მარტოხელა დედები, 10 წლამდე ასაკის ბავშვით ან ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა), რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 70 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. ორსული ქალები (26 კვირის და მეტი ვადის ორსულობა);
3. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 2 და მეტი 10 წლამდე ასაკის ბავშვი;
4. მარტოხელა დედები, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ბავშვი;
ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია;
-ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში);
-საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის სოციალური მუშაკის დასკვნა.

ს წ ო რ ი ა: